ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №48
2018 წლის 30 აპრილი

ქ.ზუგდიდი

,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.105.016388) შეტანილ იქნეს ცვლილებება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

თავი I

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	40,537.2	7,337.2	33,200.0
გადასახადები	8,800.0	0.0	8,800.0
გრანტები	26,875.1	7,337.2	19,537.9
სხვა შემოსავლები	4,862.1	0.0	4,862.1

ხარჯები	30,139.8	832.0	29,307.8
შრომის ანაზღაურება	5,613.6	0.0	5,613.6
საქონელი და მომსახურება	2,445.6	0.0	2,445.6
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0
პროცენტი	426.5	0.0	426.5
სუბსიდიები	15,917.5	0.0	15,917.5
გრანტები	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	2,430.2	0.0	2,430.2
სხვა ხარჯები	3,306.4	832.0	2,474.4
საოპერაციო სალდო	10,397.4	6,505.2	3,892.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12,836.7	8,823.6	4,013.1
ზრდა	15,336.7	8,823.6	6,513.1
კლება	2,500.0	0.0	2,500.0
მთლიანი სალდო	-2,439.3	-2,318.4	-120.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-3,086.8	-2,318.4	-768.4
ზრდა			
ვალუტა და დეპოზიტები			
კლება	3,086.8	2,318.4	768.4
ვალუტა და დეპოზიტები	3,086.8	2,318.4	768.4
		0.0	
ვალდებულებების ცვლილება	-647.5	0.0	-647.5
ზრდა		0.0	
საშინაო		0.0	

კლება	647.5	0.0	647.5
საგარეო	0.0	0.0	0.0
საშინაო	647.5	0.0	647.5
ბალანსი	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	43,037.2	7,337.2	35,700.0
შემოსავლები	40,537.2	7,337.2	33,200.0
არაფინანსური აქტივების კლება	2,500.0	0.0	2,500.0
ფინანსური აქტივების კლება		0,0	
ვალდებულებების ზრდა		0,0	
გადასახდელები	46,124.0	9,655.6	36,468.4
ხარჯები	30,139.8	832.0	29,307.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,336.7	8,823.6	6,513.1
ვალდებულების კლება	647.5	0.0	647.5
ნაშთის ცვლილება	-3086.8	-2318.4	-768.4

მუხლი 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 40537,2 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	40,537.2	7,337.2	33,200.0
გადასახადები	8,800.0	0.0	8,800.0
გრანტები	26,875.1	7,337.2	19,537.9
სხვა შემოსავლები	4,862.1	0.0	4,862.1

მუხლი 4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 8800.0 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	8,800.0	0.0	8,800.0
საშემოსავლო გადასახადი	2,700.0		2,700.0
ქონების გადასახადი	6,100.0	0.0	6,100.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4,910.0		4,910.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	140.0	0.0	140.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	100.0		100.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	40.0		40.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	500.0	0.0	500.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	550.0	0.0	550.0

მუხლი 5. ზუგდიდის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ზუგდიდის ბიუჯეტის გრანტები 26875,1 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	26,875.1	7,337.2	19,537.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	26,875.1	7,337.2	19,537.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	19,187.9		19,187.9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	350.0		350.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,337.2	7,337.2	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	7,337.2	7,337.2	0.0

მუხლი 6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 4862,1 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	4,862.1	0.0	4,862.1
შემოსავლები საკუთრებიდან	1,050.0	0.0	1,050.0
პროცენტები	200.0		200.0
რენტა	850.0	0.0	850.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2,312.1	0.0	2,312.1

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2,212.1	0.0	2,212.1
სანებართვო მოსაკრებელი	700,1		700,1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.0		1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,000.0		1,000.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	600.0		600.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	161.0		161.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	100.0	0.0	100.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	100.0		100.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,500.0		1,500.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული		0,0	

მუხლი 7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 30139.8 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	30,139.8	832.0	29,307.8
შრომის ანაზღაურება	5,613.6	0.0	5,613.6
საქონელი და მომსახურება	2,445.6	0.0	2,445.6
პროცენტი	426.5	0.0	426.5
სუბსიდიები	15,917.5	0.0	15,917.5
გრანტები	0.0	0.0	0.0

სოციალური უზრუნველყოფა	2,430.2	0.0	2,430.2
სხვა ხარჯები	3,306.4	832.0	2,474.4

მუხლი 8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15336.7 ათ.ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	15,336.7	8,823.6	6,513.1
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	110.0	0.0	110.0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	154.0	0.0	154.0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	13,037.3	7,582.8	5,454.5
განათლება	1,015.8	765.8	250.0
კულტურა, რელიგია ,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,019.6	475.0	544.6

თავი II

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის და ხარჯვის ეფექტურობის უზრუნველყოფის, ბიუჯეტის სახაზინო მართვის ელექტრონული პროგრამების ფუნქციონირების, ფინანსური დისციპლინის განტკიცების თვალსაზრისით მიღწეულმა პოზიტიურმა შედეგებმა, საბიუჯეტო შემოსულობების გადიდებამ და სხვა დადებითმა საფინანსო-ეკონომიკურმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარებას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების გაფართოებას, სკოლამდელი აღზრდა-განათლების სრულყოფას, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული საქმეების, ტურიზმის განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის უზრუნველყოფის ფინანსურ მხარდაჭერას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის და შემდგომი წლების ძირითადი პრიორიტეტებია:

ა) მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის უპირატესი განვითარება-მშენებლობა, რეაბილიტაცია- ექსპლოატაცია;

ბ) სკოლამდელი აღზრდის პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის გაუმჯობესება, ახალი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინება;

გ) განათლების სფეროსადმი საბიუჯეტო მხარდაჭერა;

დ) კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარება, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა;

ე) მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფოს მიერ დაწესებული გარანტიების პარალელურად, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით აღნიშნული სფეროს სხვადასხვა პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი განსხვავებული სოციალურ-ყოფითი პირობებისა და საჭიროებათა მქონე მოქალაქებისათვის;

ვ) მუნიციპალიტური პროექტების და პროგრამების განხორციელებასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება ზრუნვა მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის. ამის სერიოზული წანამძღვრებია ანაკლიის ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტის მშენებლობის საერთაშარისო მნიშვნელობის პროექტის განხორციელებისათვის და კურორტ ანაკლიის განვითარებისათვის დასახული სახელმწიფო ღონისძიებებები, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამოქმედების შესაძლობლობები, ეკონომიკის პერსპექტიულ სფეროებში ინვესტიციების მოზიდვისთვის სამამულო და უცხოურ ბიზნესექტორთან კავშირურთიერთობების დასამყარებლად ბოლო დროს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, მისი იერსახის გაუმჯობესების ღონისძიებები, კულტურილი მემკვიდრეობის, ეროვნული ფასეულობების პოპულარიზაცია.

1.0 22632.2 ათასი ლარი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წაარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საგზაო, კომუნალური ინფრასტრუქტურის, ხიდების, გარე განათების, წყლის სისტემის, სანიაღვრე არხების, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის გარდა ჩატარდება გამწვანების, კეთილმოწყობის სამუშაოები, დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.17379,6 ათასი ლარი – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება საფეხმავლო ბილიკებისა და ტროტუარების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა და ხიდი;

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

ბაზრებისადმი გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა.

ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და ახალი გზებისა და ხიდების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

1.1.1 7279,6 ათასი ლარი – გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის აღწერილობა

ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა, გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. მათ შორის: გზების მიმდინარე (ორმული) შეკეთება, არაასფალტირებული გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია.

ქ. ზუგდიდის ქუჩების რეაბილიტაცია – 800,0 ათასი ლარი:

თამარ მეფის ქუჩა; ჯანაშიას ქუჩა; ესებუას ქუჩა; ლეხ კაჩინსკის ქუჩა; შარტავას ქუჩა; ქუთაისის ქუჩა; მესხიას ქუჩა; პუშკინის ქუჩა; კოსტავას ქუჩა; ნიკოლაძის ქუჩა; დარასელის ქუჩა; ლევან II დადიანის ქუჩა; გოგებაშვილის ქუჩა; ლაღიძის ქუჩა; მარჯვენა სანაპიროს ქუჩა; ილ. ჭავჭავაძის ქუჩა; გოროზიას ქუჩა; გორკის ქუჩა; მაცხოვრის კარის ქუჩა; ცისკარიშვილის ქუჩა; ნინოშვილის ქუჩა; ყაზბეგის ქუჩა; თბილისის ქუჩა; ქირიას ქუჩა; ლაზის ქუჩა; თავისუფლების ქუჩა; დოჩიას ქუჩა; ბარამიას ქუჩა; 8 მარტის ქუჩა; გორის ქუჩა; ესებუას ქუჩა; კედიას ქუჩა; ზვიად გამსახურდიას ქუჩა; კ. გამსახურდიას ქუჩა; მეუნარგიას ქუჩა; თაბუკაშვილის ქუჩა; ოდიშის ქუჩა; სანკტ-პეტერბურგის ქუჩა; კიტიას ქუჩა; ლერმონტოვის ქუჩა; ჭყონდიდელის ქუჩა.

სასოფლო გზების რეაბილიტაცია - 200,0 ათასი ლარი:

აბასთუმნის, ახალსოფლის, გრიგოლიშის, დიდინეძის, ზედაეწერის, ყულიშკარის, ურთას, შამადელას, ცაიშის, ხეცერას, ჯიხაშკარის, ჯუმის ადმინისტრაციული ერთეულების შიდა სასოფლო გზები.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა.

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში ასფალტირებული გზების ორმული შეკეთების საერთო ფართობი.

წლის განმავლობაში არაასფალტირებული გზების მოხრეშვა-მოშანდაკების საერთო ფართობი 100000მ^2. საკუთარი სახსრების გარდა რეაბილიტირებული იქნება გზები რეგფონდებიდან გამოყოფილი თანხებით, რომლებიც პროგრამულ ბიუჯეტში ასახვას პოვებს პროექტებისთვის მთავრობის განკარგულებით თანხების გამოყოფის შემდგომ.

1.2. 4815.1 ათასი ლარი – კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია ეფექტური და ეფექტიანი კომუნალური სისტემის შექმნა, ერთიანი ენერგოეფექტური გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება, მუნიციპალური სერვისების განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, ჩამოყალიბდება ერთიანი ენერგოეფექტური გარე განათების სისტემა, არსებული ქსელის რეაბილიტაცია, განვითარდება მუნიციპალური სერვისები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის სუფთა გარემოს შექმნა, მაწანწალა ცხოველებისაგან ქალაქის დასაცავად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, შეკეთდება მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადები და სახურავები. ამავე პროგრამით განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, გამწვანების, სკვერებისა და პარკების მოვლის სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგი:

კეთილმოწყობილი და განათებული ქალაქი.

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ქალაქის დასუფთავებული ქუჩები, პარკები და სკვერები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განათებული ქუჩების პროცენტული მაჩვენებელი.

რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობების რაოდენობის ზრდა.

სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა.

1.2.1. 4060.0 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომუნალური მომსახურების, კერძოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და მართვის ხელმისაწვდომი და ეფექტური პრაქტიკის დამკვიდრება (ზუგდიდის ტერიტორიის ნარჩენებისგან გაწმენდა, დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა მოსახლეობიდან, კომერციული სტრუქტურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, ტურისტული ობიექტებიდან, სასტუმროებიდან, სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილის ქუჩების, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დასუფთავება და წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელში განთავსება უტილიზაცია. ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების წინაპირობების შექმნა და ამით მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად, საშუალოდ წარმოიქმნება 120-125 ათ.მ^3 მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი რომლის მოცულობა ეკონომიკის ფუნქციონირების ამაღლებასთან ერთად იზრდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილების დასაგველი ფართი შეადგენს სულ 46 ათას ჰექტარს, მათ შორის ქლაქად 30 ჰექტარს და 48 ტერიტორიულ ორგანოში 16 ჰექტარს. გარდა ცენტრალური ნაწილებისა ქალაქის ტერიტორიაზე ნაგვის გატანა ხდება 480 კომლიდან, 48 ტერიტორიული ორგანოს ცენტრალური ადგილებიდან და 126 კომლიდან სამუშაოებს ნარჩენების შეგროვებას და განთავსების ემსახურება მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა მოცულობის 1113 კონტეინერი, 45 ერთეული სხვადასხვა ზომის ნაგავზიდი მანქანა.

2018 – 2021 წლები განიხილება როგორც გარდამავალი პერიოდი ნარჩენების მართვის ისეთი ეტაპის დანერგვისათვის, როგორიცაა სეპარაცია-დახარისხება და მეორადი გადამუშავება. მუნიციპალიტეტის ძალისხმევით, მყარი ნარჩენების კომპანიის მიერ საქართველოში განხორციელდება 30 მლნ-მდე ღირებულების ნაგავგადამამუშავებელი პროექტი, მათ შორის ეს პროქტი განხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტშიც.

მოსალოდნელი შედეგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა;

დასუფთავებული, სანიტარიულად და ჰიგიენურად მიმზიდველი ქალაქისა და სოფლების ცენტრები და უბნები, ტროტუარები, სკვერები, გაზონები, ქალაქის ბოტანიკური ბაღი, ტურისტული ობიექტები, სასტუმროები, კაფეები, ცენტრალური სუპერმარკეტი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მიმდებარე ტერიტორიები, ქალაქის და სოფლების შემოსასვლელები და გასასვლელები; შენარჩუნდება დასუფთავებული გარემოსთვის საქართველოს თვითმმართველ ერთულებს შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული მოწინავე პოზიციები, რომელიც გამოიხატება პირველი ადგილის მინიჭებაში.

-2018 წლის ბოლოსათვის ქალაქის მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფა 100%-ით, 80% -ით სოფლის ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის, აგრეთვე მომსახურებით მოცული იქნება 600-ზე მეტი კომერციული სტრუქტურა, 140-ზე მეტი საგანმანათლებლო დაწესებულება და სხვა ობიექტები.

-2021 წლისათვის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილი იქნება 100%-ით მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა ნაგავსაყრელზე, გარდა ამისა მიღწეული იქნება რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლები:

ქაღალდისა – 30%-ით, მინისა – 20%-ით, მეტალისა – 70%-ით, პლასტიკატისა – 30%-ით.

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არ იარსებებს სტიქიური ნაგავსაყრელები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფა 100 %-ით;

დასუფთავების კუთხით მომსახურების გაწევა 600-მდე კომერციულ სტრუქტურისა და 20-მდე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის;

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ნაგავის გატანა საშუალოდ ერთ წელზე გათვლებით:

ფინანსური და მატერიალური წინაპირობების შექმნა ნარჩენების სეპარაციისა და მეორადი გადამუშავებისათვის;

დასუფთავების მოსაკრებლის ბიუჯეტში შემოსულობის პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა აღნიშნული პროგრამისთვის გამოყოფილი თანხების საერთო მოცულობაში.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“.

1.2.2. 200.0 ათ.ლარი – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შენობის გადახურვის სამუშაოებს (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებას, სადარბაზოებში სხვადასხვა სახის კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელებას და ა.შ. აღნიშნული ღონისძიებების თანადაფინანსება ბიუჯეტიდან განხორციელდება პროცენტულად, შემდეგი პროპორციით:

- 90% მერია, 10% – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა.

მოსალოდნელი შედეგი:

გაუმჯობესებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება.

მუნიციპალიტის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ამხანაგობების ჩართულობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა.

კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.2.3. 20,0 ათ.ლარი – არასასოფლო მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამა განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების და პერსპექტიული განვითარების გეგმის შესაბამისად,

განხორციელდება მიწის ნაკვეთების (არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო) შემდგომი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შეძენა.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალური ქონების აღრიცხვა, ქონების დაცვის, მართვისა და პრივატიზების პროცესის ეფექტური ადმინისტრირება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების რეგისტრაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კანონის შესაბამისად განკარგული მუნიციპალური ქონება.

შემოსავალი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვიდან.

დარეგისტრირებული ქონების დარეგისტრირებისა და ბალანსზე აყვანის მდგომარეობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.2.4 30.0 ათასი ლარი – ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნასთან ერთად ტურისტების მოზიდვის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობისა და ტურისტულ ადგილებზე ინფორმაციების მოპოვება და დათვალიერება.

მოსალოდნელი შედეგი:

ტურისტების დაინტერესება მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებით და გარემოთი, ხელმისაწვდომობა ინფორმაციებზე გზამკვლევებისა და საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დამსვენებელთა და ტურისტების რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი.

1.3. 5022.0 ათ.ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის აღწერა

პროგამის მიზანია ზრუნვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების იერსახის გაუმჯობესებისათვის. პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის სათანადო სამუშაოების ჩატარებას; ბულვარის, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმების ღონისძიებებს; ქალაქის გამწვანების ღონისძიებებს; მრავალბინიანი სახლების მიმდებარე ეზოების კეთილმოწყობას, სანიღვრე არხების მიმდინარე მოვლითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, ავარიული და გამხმარი ხეების გადაბელვას და ახლის დარგვას, შადრევნების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას.

მოსალოდნელი შედეგი:

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობილი იერსახე.

- გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

- შადრევნების გამართული ფუნქციონირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიების ზრდის მაჩვენებელი. -ჭარბი ნალექებისაგან მოსახლეობის დაცვის და უვნებლობის მაჩვენებელი.

1.3.1. 3830.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები ა(ა)ი.პ ,,კეთილმოწყობის ცენტრის" ბაზაზე (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებისათვის კეთილმოწყობის პროგრამის განხორციელება, ითვალისწინებს სხვადასხვა კეთილმოწყობით სამუშაოებს: წყალმშემკრები არხების მოწყობას და არსებულის მოვლა-შენახვას; ტროტუარების, ბორდიურების კეთილმოწყობის, პარკების, გაზონების, სკვერების გამწვანებასა და მოვლა-შენახვას, გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობას, ქალაქისა და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების იერსახის გაუმჯობესებას და სასდღესასწაულო დღეებში მორთვას. აგრეთვე, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მეურნეობის მოწყობა, მოვლა-პატრონობა, შემოღობვა და სასაფლაოს ტერიტორიაზე გასასვლელებისა და ბილიკების მოხრეშვა, დასუფთავება, გადაბერებული ხეების მოჭრა და გადაცემა სოციალური დანიშნულების სარგებლობისათვის შესაბამის სამსახურზე. უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა.

მოსალოდნელი შედეგი:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი ტერიტორიების ზრდა, მკვეთრად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა;

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი ფუნქციონირება;

- გაუმჯობესებული ქალაქის და სხვა დასახლებული უბნების იერსახე;

- გაუმჯობესებული გარე-განათების ქსელის გამართული მუშაობა, დაიზოგება გარე-განათებაზე გაწეული ელექტროენერგიის ხარჯი ენერგოეფექტური სანათების ჩანაცვლებით.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლისა და დაცვის არსებული მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება. სასაფლაოების შემოკავება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობის საკითხებზე მოსახლეობის შენიშვნების ნაკლები რაოდენობა, მოქალაქეთა შემოსული თხოვნებისა და წინადადებების დაკმაყოფილების პროცენტული და რაოდენობრივი მაჩვენებელი.

- მოვლილი და კეთილმოწყობილი სასაფლაო მეურნეობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ,,კეთილმოწყობის ცენტრი".

1.3.2. 490,0 ათ.ლარი – ცენტრალური ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიური პირობების შექმნა, ქალაქის გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის კეთილმოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკოლოგიური და ჯანსაღი გარემოს შექმნა.

მოვლილი ცენტრალური ბულვარი.

ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დასვენებისა და გართობის ადგილების რაოდენობის ზრდა.

მუნიციპალიტეტში პოზიტიური განწყობის ამაღლება.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.3.3. 200,0 ათ.ლარი – ბოტანიკური ბაღების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ზუგდიდისა და ანაკლია-განმუხურის ბოტანიკური ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა. მწვანე გარემოს გაფართოება, ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ჩამოსულთათვის დასვენების კომფორტული გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი:

ცენტრალური ბოტანიკური ბაღის სრული რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით იწყება 2018 წლიდან. აღდგება ბოტანიკური ბაღის სარწყავი სისტემა, მოეწყობა დასავენებელი ადგილები, ბილიკები, ღია კაფეები, განახლდება გამწვანება, რეაბილიტაცია ჩაუტარდება დადიანების ადმინისტრაციულ შენობას, მოეწყობა სანერგე მეურნეობა და სხვა პროექტის ღირებულება შეადგენს 10 მლნ -მდე ლარს. გაფართოვდება კეთილმოწყობილი ტერიტორიები, გაიზრდება მოსარგებლეების პოზიტიური განწყობა არსებული სფეროს მიმართ.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დამსვენებელთა რიცხოვნობის ზრდა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ,,განმუხურის ბოტანიკური ბაღი“.

1.4. 833,1 ათასი ლარი – სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე სისტემის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭაქვინჯის, ცაიშის, ინგირის, ჩხორიის, ნარაზენის, ჭითაწყარის, კახათის, ზედაეწერის ადმინისტრაციული ერთეულებში და ქ. ზუგდიდში ლომოურისა და ყუფუნიას ქუჩების სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

მოწესრიგებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი სისტემები.

გაუმჯობესებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სტიქიური მოვლენებისგან (წყალდიდობა) დაცული მოსახლეობის რაოდენობა.

2000 გრძ/მ რეაბილიტირებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი სისტემა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

1.5. 100,0 ათასი ლარი – მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის აღწერა

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, რათა ტრანსპორტის საწვავისა და მარაგ–ნაწილების ფასების ზრდის გამო, მგზავრობის ღირებულება არ გაძვირდეს. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური დანახარჯების და შემოსავლების თანაფარდობით მოსალოდნელი ზარალის ნაწილობრივ შევსებას. მუნიციპალიტეტის ძალისხმევით, მსოფლიო ბანკის საგრანტო პროგრამით მუნიციპალიტეტში იგეგმება 50-მდე ახალი სამგზავრო ტრანსპორტის შემოყვანა.

მოსალოდნელი შედეგი:

მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნება;

უსაფრთხო, კომფორტული გადაადგილება სხვადახვა შესაძლებლობის მქონე მგზავრებისათვის ხელმისაწვდომობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მგზავრთა ნაკადის რაოდენობრივი მაჩვენებელის შენარჩუნება და ზრდა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“

1.6. 250,0 ათასი ლარი - შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა (კოდი 03 06)

პროგრამის მიზანია ანაკლია-განმუხრის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კერძოდ ხელოვნური საფარისა და ქვიშის მოედნების სამუშაოები, ასევე ამფითეატრში მიმდინარე სამუშაოების შესრულება. შადრევნების, საშხაპეების, წყლის სასმელი სოკოებისა და მსგავსი ფასეულობების მოვლა-პატრონობა. არსებული გამწვანების ზოლის მოთიბვის სამუშაოები, სხვადასხვა ხე-მცენარეების გასხვლა, შეწამვლა და შესაბამისი მინერალებით კვება. ასევე განხორციელდება არსებული ელექტროგაყვანილობის სადენების, ელექტრომოწყობილობების, სხვადასხვა ტიპის სანათების, განათების ბოძებისა და სხვა მინათების საშუალებების მოვლა-პატრონობა და სწორი ექსპლოატაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

აღდგენილი, გამართული და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, რომელიც შეუქმნის დამატებით კომფორტს ვიზიტორებს და ესთეტიკურად წარმოაჩენს ზღვისპირა კურორტის სილამაზეს ასევე ღამის საათებში ვიზიტორების უსაფრთხო გადაადგილება და ტერიტორიის განათებული იერსახე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და მოვლილი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივი მაჩვენებელი, ზღვისპირა კურორტ ანაკლია-განმუხურის ცნობადობის ამაღლება. ვიზიტორების რაოდენობის ზრდა და კმაყოფილების დონე.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS“

1.7. 240,0 ათასი ლარი – სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა მემცენარეობის და მეცხოველეობის საპილოტე პროგრამების მეშვეობით, მომდევნო წლებში პროგრამების გაფართოება და საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება როგორც ადგილობრივ მომხმარებელზე, ისე გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მომდევნო სამი ხუთი წლის პერიოდისთვის სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების ასამოქმედებლად შესაბამისი ბაზის მომზადება სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის პროგრამების მხარდაჭერით.

მოსალოდნელი შედეგი:

მოსახლეობის დასაქმების პროგრამის განხორციელება და მოსახლეობის ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი, მიღწეული ეკონომიკური შედეგები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს,, ზუგდიდსერვისი“

1.8. 47.9 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებანი (პროგრამული კოდი 03 08)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, აღნიშნულ შენობებში შშმ პირთათვის ადვილად შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგი:

ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და კულტურული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული აქტივების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

1.9. 2420,9 ათასი ლარი – რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 09)

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტებისა და ბოტანიკური ბაღის სრული რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრებით განხორციელდება ძირითადი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა.რეგფონდიდან გამოყოფილი პროექტების დასახელება, პროგრამაში აისახება მთავრობის განკარგულების მიხედვით.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და მისი მყარი ბაზის შექმნა.

მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების რაოდენობრივი და მოცულობითი მაჩვენებელი.

1.10. 484,8 ათასი ლარი – სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 10)

მუნიციპალიტეტში სავარაუდოდ განვითარებულ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებლად ფინანსური საფუძვლების შექმნა, სათანადო დასკვნების მომზადება კომისიური წესით და დასაბუთებული გაანგარიშების გაკეთება.

მოსალოდნელი შედეგი:

მოქალაქეებისათვის ზარალის სამართლიანი კრიტერიუმებით ანაზღაურება, მათი ობიექტური მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.სტიქიით დაზიანებული აღდგენილი ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რამდენად დროულად და სრულად იქნა სტიქიის შედეგები ლიკვიდირებული.

1.11. 961,6 ათასი ლარი - სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 11)

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა, მათი ექსპერტიზა. ასევე, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა. პრევენციული ზომების სწორი დოკუმენტაციის შესადგენად.

მოსალოდნელი შედეგი:

შუფერხებლად განხორციელებული კაპიტალური სამშენებლო პროექტები;

ხელშეკრულებებში შესატანი ცვლილებების მაქსიმალურად შემცირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მომზადებული პროექტების რაოდენობა.

მომზადებული პროექტების გაუმჯობესებული ხარისხობრივი მაჩვენებელი.

პროექტებში ცვლილებების შეტანის მაქსიმალურად შემცირებული მაჩვენებელი.

2.0. 6887.8 ათასი ლარი – განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლე-ახალგაზრდობის, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად ნორჩი თაობის აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ეტაპობრივად განხორციელებას. სკოლამდელ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში საკუთარი უფლებამოსილებების სრულად განხორციელებას, სკოლისგარეშე დაწესებულებათა თანადაფინანსებას და ზოგადი განათლების ფინანსურ მხარდაჭერას.

22.1. 4940.0 ათასი ლარი - სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 62 საბავშვო ბაღი (ქალაქში –17 საბავშვო ბაღი, სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში 45 საბავშვო ,ბაღი), სადაც დაწყებით აღზრდა განათლებას იღებს 4150 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. სკოლამდელ დაწესებულებებში ახალი სტანდარტების დანერგვის მოთხოვნათა შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, სანიტარიულ-ჰიგიენური საკითხების მოგვარების, კვების რაციონის გაუმჯობესების, სასწავლო-სააღმზრდელო საქმოიანობის და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებს.

ამასთან, მიმდინარე პერიოდში არსებული ფინანსური რესურსების გარდა, „ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სტანდარტების დანერგვის და სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, 2018-2021 წლებისთვის მუნიციპალიტეტში მოძიებული იქნება ახალი ფინანსური წყაროები და ამ მიმართულებით გამოიყოფა დამატებითი ფულადი სახსრები.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის აღსაზრდელების მომზადება, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდის ხელშეწყობა, მათი ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება.ბავშვების აზროვნების, ემოციური სამყაროს, ჯანსაღი ფსიქოლოგიის ფორმირება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა. საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოციალურ- ემოციური განვითარება

ბავშვი ცნობიერების განვითარებას იწყებს, აქვს დადებითი წარმოდგენა საკუთარ თავზე, შესწევს უნარი

დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, თანატოლებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ თამაშებში, განვითარებული აქვს თანაგრძნობის უნარი.

ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

ბავშვი იმდენად არის განვითარებული ფიზიკურად, რომ შეუძლია საკუთარი სხეულის მოძრაობის მართვა, ზუსტი მოძრაობის შესრულება, იცავს უსაფრთხოების მარტივ წესებს, პირად ჰიგიენას და აქვს თავის მოვლის უნარ-ჩვევები.

შემეცნებითი განვითარება

ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული შემეცნებითი უნარები, რომ მზად არის დაეუფლოს წერა-კითხვას, განვითარებული აქვს ყურადრება და მეხსიერება, არის დაკვირვებული, შეუძლია საქმიანობის პროცესში მარტივი დასკვნის გამოტანა და პრობლემის გადაჭრა.

მეტყველებითი განვითარება

ბავშვს იმდენად აქვს განვითარებული სამეტყველო უნარები, რომ შეუძლია გასაგებად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი და გაიგოს სხვისი ნათქვამი, აქვს მოსმენის კულტურა, გამოხატავს ინტერესს ნაბეჭდი გამოცემების მიმართ, აქვს მათი აღქმის უნარი. წერილობითი სიმბოლოების მიმართ ამჟღავნებს ინტერესებს და იცის მათი დანიშნულება.

სწავლისადმი მიდგომა

ბავშვი არის ცნობისმოყვარე, აქტიური და ლაღი. სიამოვნებს თამაში და ახალი გამოცდილების მიღება. უვითარდება ინფორმაციის გადამუშავების უნარი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

-ბაღებში ბავშვების კონტინგენტის ზრდის ტენდენცია, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხობრივი გაუმჯობესების მაჩვენებელი;

-შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციის და ხელმისაწვდომობის გატარებულ ღონისძიებათა ეფექტი.

-ბაღების აღსაზრდელთა მიერ სკოლის დაწყებით საფეხურზე წაყენებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების აკადემიური მაჩვენებელი.

-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მაჩვენებელი.

-გაუმჯობესებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სრულფასოვანი რაციონით კვების ხარისხის გაუმჯობესება.

გარემონტებული შენობების რაოდენობრივი ზრდა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“

2.2 . 222,0 ათასი ლარი - საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა (სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება), აგრეთვე იმ ღონისძიებების მხარდაჭერა, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესის, მოზარდებში კითხვის სწორი სტრატეგიისა და კულტურის დანერგვა, გუნდური თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. სკოლის მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი დონის ამაღლება. მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის თვალსაჩინო ადამიანების საქმიანობის გაცნობა და კვლევა. შემეცნებითი ინტელექტუალური თამაშების, სამეცნიერო კონკურსების ორგანიზების ხელშეწყობა. სკოლის კურსდამთავრებულთა წახალისება. შემოსული მცირე პროექტების დაფინანსება. საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების სოციალურად დაუცველი და წარმატებული მოსწავლეებისათვის. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. სკოლიდან გარიცხული იმ მოსწავლეების ზოგადი განათლების მიღების ფინანსური უზრუნველყოფა, რომელებიც სკოლიდან გაირიცხნენ, ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში

მონაწილეობა-ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მოსწავლეთა კულტურულ-შემეცნებითი დონის ამაღლება. წარჩინებული მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება და დაინტერესება უკეთესი აკადემიური მოსწრების მისაღწევად.

შუალედური შედეგის ინდიკატორი:

წლის განმავლობაში საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის ფინანსური ხელშეწყობა რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

2.3. 900,0 ათასი ლარი - სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის მიზანია სკოლისგარეშე მუშაობის წარმართვა მოზარდებთან და ახალგაზრდებთან, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო, კულტურული წრეების ფუნქციონირება, სასკოლო ოლიმპიადების, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, შემეცნებითი, სახელოვნებო, სპორტის და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფის თანადაფინანსება. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრების მაღალ დონეზე სწავლება, მოზარდთა ზოგადი განათლებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში მოზარდთა აქტიური ჩართვა; (ბავშვთა თვითმმართველობა ,,ოდაბადე", სადისკუსიო კლუბი ,,გასაღები")

ხალხური რეწვა; „ფანტაზია და მარჯვე ხელები" ჭრა-კერვის წრე.

სახელოვნებო სკოლების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა განხორციელდება ქალაქის მუნიციპალიტეტის N1 და N2 სამუსიკო, საგუნდო–სამუსიკო და სამხატვრო სკოლების ბაზაზე. სამუსიკო სკოლების პროგრამის მიზანია მოზარდებში მუსიკალური უნარ-ჩვევების განვითარება, მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, სოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, პედაგოგთა და ოსტატებისათვის მასტერ-კლასების ჩატარება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწყობა, მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა, ფოლკლორული, საესტრადო და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია, მუსიკალური დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. **მუდმივი ზრუნვა სკოლის საკონცერტო და საკონკურსო ცხოვრების მნიშვნელოვანი გააქტიურებისათვის, განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენისათვის. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერიოდულად მოწვეულ პროფესორ-მასწავლებელთა მასტერკლასების ჩატარების ორგანიზება.**

სამხატვრო სკოლის პროგრამის მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარება ეფექტური სასწავლო პროცესის ორგანიზება.

ინტერნეტის გამოყენება სასწავლო პროცესში, კომპოზიციის გაკვეთილების ორგანიზება ცნობილი ოსტატების გამოცდილების გათვალისწინებით.

თანამედროვე მოდერნისტულ - კონცეპტუალური და კლასიკური-აკადემიური ხელოვნების შედარება და ღირებულებითი ფასეულობების მოსწავლეთათვის სწავლება-გაზიარება;

პლენერის როლის გაძლიერება სასწავლო პროცესის დონის ამაღლებისათვის;

გამოფენა, როგორც ნორჩი მხატვრების დონის შემოწმების ძირითადი საშუალება;

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა (გამოფენები: პერსონალური და ჯგუფური).

მოსალოდნელი შედეგი:

მოსწავლეთა მიერ სკოლისგარეშე, საგანმანათლებლო შესაძლებლობების, უნარ-ჩვევების, მისწრაფებების, განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენა და წარმოჩენა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ მიღწეული წარმატებები სხვადასხვა ოლომპიადებში, ტურებში, კონკურსებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების დონის ამაღლება;

ახალგაზრდებში ესთეტიკური კულტურისა და გემოვნების ჩამოყალიბება;

მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია;

ახალგაზრდა თაობის სამხატვრო განათლების დონის ამაღლება;

გამოვლენლი და წარმოჩენილი ნიჭიერი ახალგაზრდები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე - ახალგაზრდობის მიერ საგანმანათლებლო, კულტურული, შემეცნებითი, ესთეტიკური აღზრდის სფეროში მიღწეული წარმატებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა, სხვადასხვა ოლომპიადებში, ტურებში, კონკურსებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში.

სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი;

ახალგაზრდა მუსიკოსთა შემოქმედებით-სახელოვნებო მიღწევები;

მუსიკოს-პედაგოგების კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის მაჩვენებლები.

სამხატვრო სკოლისა და მისი მოსწავლეების სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი;

ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებითი მიღწევები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა.ა.ი.პ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“, №1, №2 სამუსიკო-საგუნდო და სამახატვრო სკოლები

2.4 . 60,0 ათასი ლარი – განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0404)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსაკუთრებული ნიჭის და უნარების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ფინანსური ხელშეწყობა შესაბამის სფეროში სწავლისა თუ შემოქმედებითი უნარის წარმოსაჩენად და განსახორციელებლად. მერის სტიპენდიის დანიშვნის პრაქტიკის გაგრძელება მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს ან სხვა ტიპის სასწავლებელში და გააჩნიათ სოციალურად დაუცველის ან მარჩენალდაკარგულის სტატუსი. შესაბამისი პროფილის პუბლიკაციების გამოცემის ხელშეწყობა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს ან სხვა ტიპის სასწავლებელში სწავლის ფინანსური ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება . განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის ზრდა და განვითარება, ახალგაზრდების აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ნიჭიერი, კრეატიული და საინტერესო ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ნიჭიერ ახალგაზრდათა მიღწეული შედეგების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა;

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.0. 4007.7 ათასი ლარი – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული

კოდი 05 00)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ცხოვრების განვითარებას, ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. პროგრამა ითვალისწინებს კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას, ღონისძიებების ჩატარებას კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციას, ახალგაზრდულ შემეცნებითი პროგრამების განხორციელებას .

3.1. 1310,0 ათასი ლარი – სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სპორტსმენთა წვრთნა სხვა და სხვა სახეობების მიხედვით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, წარმატებულ სპორტსმენთა მორალური და მატერიალური წახალისება.

მოსალოდნელი შედეგი:

სპორტული ღონისძიებების რაოდენობრივი ზრდა, სპორტსმენთა სპორტული შედეგებისა და მიღწევების გაუმჯობესება;

სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტსმენთა რაოდენობრივი ზრდის და დაოსტატების მაჩვენებელი.

ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულ სპორტსმენთა სპორტული პრიზების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.1.1. 1230,0 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ა. ა.ი.პ,,სპორტის განვითარების ცენტრის“ ბაზაზე (პროგრამული კოდი 050101)

პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება და ახალგაზრდების მიქსიმალური სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით გუნდების მომზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით. მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებისათვის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა სპორტული ობიექტებით, სპორტული ინვენტარით, ტრანსპორტით მომსახურება, სპორტული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, თანამედროვე სტანდარტების დონეზე სპორტულ-სანახოებრივი ღონისძიებების ორგანიზება, ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაცია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

მოსალოდნელი შედეგი:

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობრივი და თვისობრივი გაზრდილი მაჩვენებელი, სპორტისადმი მოსახლეობის მეტი ნაწილის ხელმისაწვდომობა სპორტის სფეროში. მიღწეული წარმატებების პროგრესირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე გაუმჯობესებული სპორტული შედეგები;

როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე ნაჩვენები განსაკუთრებით მაღალი სპორტული შედეგების რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი;

სპორტსმენთა მომზადების, წვრთნის ხარისხის ამაღლების მაჩვენებელი;

გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა.ა.ი.პ.,,სპორტის განვითარების ცენტრი“

3.1.2. 20,0 ათასი ლარი – სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 050102)

სპორტული ღონისძიებების დაფინანსების კუთხით ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და პროგრამების განხორციელების კოორდინაცია. პროგრამა მოიცავს სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის გაზრდას, სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარებას, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაციას, სპორტსმენთა წრთვნისა და გადამზადების ხელშეწყობას, ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაციას, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტულ შეჯიბრებებში ფართო მონაწილეობას და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოებას, შეჯიბრებების ჩატარების ხარისხის გაუმჯობესებას, სოციალურად დაუცველ და მოწინავე სპორტსმენთა საცხოვრებელი პირობების შესწავლას, მათთვის ერთჯერადი დახმარებების გაწევას, სტიპენდიების დანიშვნას, ჩატარებული ღონისძიებების ეკრანიზაციას, ფოტოსტენდების მოწყობას, სპორტსმენთა რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებზე ეკიპირებას, მათი საჭირო სპორტული ინვენტარითა და საქონლით აღჭურვას.

მოსალოდნელი შედეგები:

რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში ახალგაზრდა სპორტსმენთა ფართო მონაწილეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების ხარისხობრივი მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.1.3 60.0 ათასი ლარი – ახალგაზრდული და გენდერული პროგრამების დაფინანსება (პროგრამის კოდი 05 01 03)

ახალგაზრდული პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას, მათ კულტურული და პიროვნული თვისებების განვითარებას, ახალგაზრდული თვითმმართველობის განვითარებას სკოლებსა და უმაღლეს სასაწავლებლებში. ამ მხრივ ერთ-ერთი პრიორიტეტია „ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ასამბლეის” ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ახალგაზრდულ პოლიტიკაში, რომლის მთავარი მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რითაც მათ საშუალება მიეცემა წვლილი შეიტანონ ქვეყნის პროგრესული მომავლის შექმნაში. ამ პროექტის ფარგლებში მოხდება ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ ახალგაზრდას ექნება განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობა, რათა ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივად მოაზროვნედ, ქვეყნისთვის სასარგებლო პიროვნებად.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით, აკადემიური და გამოყენებითი კვლევების საფუძველზე შესწავლილი იქნება გენდერული თანასწორობის საკითხები. გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად მოხდება მისი ანალიზი და შემუშავდება, ამ მიმართულებით განსამტკიცებელი აუცილებელი პოლიტიკის მოდელები, მოხდება იმ პრობლემების იდენტიფიკაცია, რომელიც ხელს უშლის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას ჩვენს მუნიციპალიტეტში.

გენდერული საკითხების გათვალისწინება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა პროგრამებში

მოსალოდნელი შედეგი

ახალგაზრდობის აღზრდა პატრიოტული სულისკვეთებით, მათი ინტელექტუალური და შემცნებითი პოტენციალის ამაღლება გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის წარმოჩენა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

ახალგაზრდული, ინტელეტუალურ-შემეცნებით ღონისძიებათა ჩატარების თვისობრივი, შინაარსობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა.

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის სტატისტიკური და თვისობრივი მაჩვენებელი გენდერის საკითხებზე სამთავრობო პოლიტიკის განხორციელება.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2. 2169,1 ათასი ლარი – კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვას და ჩატარებას, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, გამოფენა-გაყიდვების, კონცერტების დაგეგმვას და ორგანიზებას, მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნას, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენას და პოპულარიზაციას, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისადმი მიძღვნილი დღესასწაულის აღნიშვნას ღონისძიებებით;

თეატრის, კინოს, კლასიკური და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ტრადიციების შენარჩუნებას, დაცვას და პოპულარიზაციას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარებას;

,,მწერალთა ხეივნის'' შექმნას, მწერალთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნას;

ხელოვანების საღამოების მოწყობას, კონკურსების ჩატარებას.

3.2.1. 910,0 ათასი ლარი - ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050201)

მუსიკალურ–ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ქართული ფოლკლორული ტრადიციების აღორძინებას, უკვე არსებული და ახალი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლების ხელშეწყობას ,ქორეოგრაფების ,ლოტბარებისა და მუსიკოსებისათვის მასტერკლასების მოწყობას, სხვადასხვა სახის მუსიკალური და ქორეოგრაფიული ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობას, ფოლკლორული ნიმუშების მოძიებას და პოპულარიზებას. მოზარდთა და ახალგაზრდათა ჩართულობის გაზრდას ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ანსამბლებში,ფოლკლორის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგის პოპულარიზაციას,მომავალ თაობაში სასიმღერო და ქორეოგრაფიული ეროვნული ტრადიციების, მემკვიდრეობითობის შენარჩუნებას,ადგილობრივ, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მიღებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების(იონა მეუნარგიას, კონდრატე თათარიშვილის, სოლომონ ცაიშვილი ალექსანდრე საჯაიას, ვანიონ დარასელის ზურაბ ნარმანიას, მედიამუზეუმი) შენარჩუნება და განახლება, შევსება, ბროშურების გამოცემა და პოპულარიზაცია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობისადმი საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის ხელმისაწვდომობის გაზრდა.ზუგდიდელ მხატვართა შემოქმედებითი მუშაობის ხელშეწყობა, სამხატვრო გალერეაში ნახატებისა და ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების მოწყობა.

თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს სასცენო ხელოვნების პოპულარიზებას და განვითარებას, საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე თეატრალური წარმოდგენების გამართვას,საზოგადოებაში თეატრის სამოყვარულო დონეზე პოპულარიზებას, გასტროლებზე გასვლას, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობას, მსახიობთა ოსტატობის დასახვეწად მასტერ-კლასების ორგანიზებას. სამოყვარულო თეატრალური ხელოვნების განვითარებას და პოპულარიზაციას, საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდას თეატრისადმი.

მოსალოდნელი შედეგი:

კულტურული მემკვიდრეობით საზოგადოების დაინტერესებული ფენებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. მოსახლეობის ინტელექტუალურ–შემეცნებითი და კულტურული დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით, ტურისტული პროდუქტის წინ წამოწევა და პოპულარიზაცია.

ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, განვითარება.

თეატრალური ხელოვნებისადმი მოსახლეობის დაინტერესება, სიყვარულისა და პატივისცემის უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ახლად გამოვლენილი და აღრიცხული კულტურული მემკვიდრეობის მატერიალური ძეგლების რაოდენობრივი მაჩვენებელი;

რეაბილიტირებული და აღდგენილი სახლ–მუზეუმები;

ჩატარებულ ღონისძიებათა და მოწყობილი გამოფენების რაოდენობრივი ხარისხობრივი მაჩვენებელი;

ღონისძიებებში და ფესტივალებში მონაწილეობის მიღების რაოდენობრივი მაჩვენებელი, ხარისხი და შედეგები.

სპექტაკლების აქტუალობა და ხარისხი, მაყურებელთა დასწრების მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრი „ოდიში“, სამხატვრო გალერეა, ადგილობრივი მუზეუმები, ჩხორიის არაპროფესიული (მოყვარული) თეატრი.

3.2.2. 494,0 ათასი ლარი – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 02)

კულტურული ძეგლების მოვლის და შენახვის პროგრამა ითვალისწინებს არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების სამუშაოების ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო ექსპედიციის მოწყობას, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია-გამოფენებს, შემეცნებითი ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ წიგნი-გზამკვლევის გამოცემას და სხვა ღონისძიებებს. ასევე რელიგიის (სხვადასხვა კონფესიების) პატივისცემას და ხელშეწყობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

მოსალოდნელი შედეგი:

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება.

სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების განმტკიცება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვიანობის მოწესრიგება,

რეაბილიტირებული და მოვლილი კულტურული მემკვიდროების ძეგლების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

3.2.3. 500,0 ათასი ლარი – საბიბლიოთეკო დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამულიკოდი 050203)

პროგრამის მიზანი არის ზუგდიდის მოსახლეობის საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, წიგნით მომსახურების უზრუნველყოფა: სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის პროცესების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება, აღრიცხვა;

მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საბიბლიოთეკო ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემის დანერგვა, ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულებში:ელექტრონული კატალოგის ბაზაზე სისტემატური მუშაობა და ელექტრონული კატალოგის მკითხველთა მიერ გამოყენების უზრუნველყოფა. ფართო მკითხველისათვის უფასო ინტერნეტით აუდიო-ვიდეო, ელექტრონული წიგნებით მომსახურების ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო სამსახურის ერთმანეთში ორგანულად შერწყმა; მხარეთმცოდნეობით ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა, კერძოდ, ზუგდიდის ბიბლიოგრაფიის შესახებ წიგნზე მუშაობა და ბეჭვდური ფორმით გამოცემა;

ადრეული ასაკიდან ბავშვებთან მუშაობა, ბიბლიოთეკებსა და სკოლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება და ბიბლიოთეკების გადაქცევა საინფორმაციო, საგანმანათლებლო ცენტრად;

ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის, ამ მიზნით უსინათლოთათვის კომპიუტერში ტექსტების გამახმოვანებელი პროგრამა „ბუს“ სწავლება,კომპიუტერული ცენტრის გახსნა საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალში;

მობილური ბიბლიოთეკის დაფინანსება, ბიბლიოთეკის მომსახურების გარეშე დარჩენილი, ცენტრიდან დაშორებული უბნების, შესაძლებლობაშეზღუდული ადამიანების, ავადმყოფების ბინაზე მომსახურეობისათვის;

საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალის გახსნა საბიბლიოთეკო ქსელის გაფართოების მიზნით ენგურ-ქაღალდ კომბინატის დასახლებაში.

კომპიუტერული განათლების დანერგვა როგორც ბიბლიოთეკარებში, ასევე, მკითხველებში, კერძოდ, ინტერნეტით ინფორმაციის მოძიების სწავლება;

საპროექტო წინადადებების მომზადება და დონორების მოძიება;

ბიბლიოთეკის პროპაგანდა, ბიზნესმენების დაინტერესება და საზოგადოებისაგან შემოწირულობების მოზიდვა.

აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივ საინფორმაციო სამსახურებთან;

ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სხვადასხვა სახის საბიბლიოთეკო-კულტურული და მხატვრული ღონისძიებების ჩატარება.

ზრუნვა საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მოსალოდნელი შედეგი:

ცენტრალური ბიბლიოთეკის როლის ამაღლება, მისი საზოგადოების კულტურული ცხოვრების საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრად გადაქცევისათვის. ადგილზე მოსარგებლეთა და ვირტუალურ მკითხველთა, ასევე ჩატარებულ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობის სისტემატური ზრდა (ცალკეული პროექტები, თემატური ღონისძიებები, ორგანიზებული კლუბები,დისკუსიები და სხვა); ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება, თავისუფალი დროის მიზანმიმართულად და გონივრულად გამოყენება;

საბიბლიოთეკო ცხოვრების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხში ყველა სოციალური ჯგუფის უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

ინოვაციური პროექტების „მწერლების ხეივანი“ და „ლიტერატურული პრემიის“ დაარსება და განხორციელება ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკის, წიგნის პოპულარიზაციას, მწერლების წახალისებას, მათ დამაგრებას ქალაქ ზუგდიდში სამოღვაწეოდ. „ლიტერატურული თეატრის“ დაარსება კი სტიმულს მისცემს ახალგაზრდების სამეტყველო კულტურის ჩამოყალიბებას, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის თეატრალიზებული ფორმით ლიტერატურის მიწოდებას და ახალგაზრდების დაინტერესებას სასცენო ხელოვნებით, წიგნიერების დონის ამაღლებით.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბიბლიოთეკო აღრიცხვის ერთეულების სტატისტიკური ანალიზი: ბიბლიოთეკით მოსარგებლე მკითხველთა რიცხოვნობის, წიგნის გაცემის კოეფიციენტის, დამსწრეთა რაოდენობის მაჩვენებელი;

ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობისა და ხარისხის ანალიტიკური მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ,, ცენტრალური ბიბლიოთეკა.

3.2.4. 201,1 ათასი ლარი – კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის მიზანია სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, ადგილობრივი, რესპუბლიკური

და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ - შემოქმედებითი საღამოების, გამოფენა-გაყიდვების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება, ხელოვნების (სამუსიკო, საგუნდო, სამხატვრო) სკოლების, თეატრის, კინოს, კლასიკური და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება, ადგილობრივი თეატრის ხელშეწყობის მიზნით, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა დაფინანსება, საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, სხვადასხვა მუსიკალური და თეატრალური დასების მოწვევა, ხელოვანთა საღამოების მოწყობა, კონკურსების ჩატარება. სახალხო დღესასწაულის ,,ზუგდიდობა" ჩატარება, შემოსული მცირე პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების მომზადება.

მოსალოდნელი შედეგი:

ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მოსახლეობისთვის პოზიტიური განწყობის შექმნა წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისადმი, დღესასწაულების აღნიშვნა ღონისძიებებით, ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ტრადიციების შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და აღნიშნული ღონისძიებებით კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი ზრდის მაჩვენებელი;

შემოსული მცირე პროექტების თვისობრივი და რაოდენობრივი ზრდა;

ახალგაზრდების აქტიური ჩართვა სხვადასხვა სახის კონკურსებში.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2.5. 64,0 ათასი ლარი – ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ შეკვეთილი ინფორმაციების, საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებისა და დაბეჭვდის სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების ხარჯების ანაზღაურება. ადგილობრივ პრესაში, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, მასალების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს მიხედვით.

მოსალოდნელი შედეგი:

მოსახლეობის სრულყოფილი ინფორმირებულობა;

გაძლიერებული მასმედიის მედიატორის როლი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;

მასმედიის საშუალებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კვლევების პოზიტიური შედეგები მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე მოსახლეობის ინფორმირების შესახებ. მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

3.3. 43,0 ათასი ლარი – საცხენოსნო კლუბ ,, ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მკურნალობა-სამედიცინო რეაბილიტაცია და კლუბში სპორტული ცხენოსნობით დაინტერესებული ბავშვებისა და მოყვარულების მიღება. პროგრამით ხორციელდება ცხენების საკვებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური, ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

4.0. 3224,3 ათასი ლარი – მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0600)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური გარანტიების შექმნა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი 2017 წლისთვის დაგეგმილი რესურსების ფარგლებში გააგრძელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანდაცვას და სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის დაავადებათა რისკების შემცირებას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური ავადმყოფობებისაგან.

4.1. 280.0 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, დავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა, წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები წყალსატევებში და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის, გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა, დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა მალარიის დიაგნოსტიკა.

სანიტარიული ღონისძიებები და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა, ეპიდსაწინააღმდეგო, პრევენციული ზომების გატარება, დაავადებათა რისკების მაქსიმალურად შემცირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან დაცული მოსახლეობის, ავადობის შემთხვევათა შემცირებული მაჩვენებელი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

4.2. 2149,3 ათასი ლარი – მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 0602)

პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალური სტატუსის მქონე ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის გარკვეული სერვისებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი

ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთდროულად რამდენიმე პროგრამით.

4.2.1. 150,0 ათასი ლარი – სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (უფასო სასადილოები) (პროგრამული კოდი 060201)

ითვალისწინებს უმწეო მოსახლეობის მორალურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. კერძოდ, ყოველდღიურად (გარდა კვირისა) უმწეო მოქალაქეთა უზრუნველყოფას ცხელი სადილით დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ზუგდიდის მუნივიპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირები, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას (65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით), ასევე მარტოხელა დედები, მარტოხელა არამომუშავე პენსიონრები, შშმ პირები, ზრუნვის სისტემიდან გასული პირები და სხვა (250 ბენეფიციარის ფარგლებში). ბენეფიციართა შერჩევა მოხდეს წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის მეშვეობით.

მოსალოდნელი შედეგი:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

უფასო სასადილოთი სარგებლობით საჭიროების მქონე მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი.

4.2.2 65.0 ათასი ლარი – ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 060202)

ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომის ვეტერანთა ოჯახების ხელშეწყობას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით და მათთან გათანაბრებულ პირთა ერთჯერად ფულად დახმარებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღის – 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარიანი დახმარება პენსიაზე დანამატის სახით სამამულო ომის ადგილობრივ ვეტერანებზე. ომის ვეტერანთა ზუგდიდის კავშირის ფინანსური ხელშეწყობა. მომვლელის საჭიროების მქონე ვეტერანის მოვლის საზღაური თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით. მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანების (ომის მონაწილე) გარდაცვალებისას ოჯახის ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. აგვისტოს თვეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

ომის ვეტერანების ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და თანადგომა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში ომის ვეტერანებისა და ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მაჩვენებელი

4.2.3. 100,0 ათასი ლარი – ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060203)

პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის კუთხით ფულად დახმარებებს წელიწადში ერთხელ: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის – (18 წლამდე ასაკის 4-შვილიან ოჯახს – 200 (ორასი) ლარით; 5-შვილიანი – 300 (სამასი) ლარით და ა.შ); პირველი – მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65 001–ზე ნაკლები) – 200 (ორასი) ლარით; ნებისმიერი კატეგორიისთვის: ტყუპების შეძენისას – 500 (ხუთასი) ლარით. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებს ყოველთვიური 50 (ორმოცდაათი) ლარის ჩარიცხვა. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიური 50 (ორმოცდაათი) ლარის ჩარიცხვა. ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება,მრავალშვილიანი, ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების, მარტოხელა დედების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ახალშობილთა ზრდის დინამიკის მაჩვენებელი, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

4.2.4. 200.0 ათასი ლარი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა და რეაბილიტაცია (კოდი 060204)

პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერა, მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (მკვეთრად გამოხატული) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით. სმენა- და მხედველობადაქვეითებული პირებისთვის – ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარი; 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვებისთვის – ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით; ასევე, შშმ პირთა სტატუსის მომვლელის საჭიროების მქონე ბენეფიციართა და მომვლელის საჭიროების მქონე ხანდაზმულის შინ მოვლის ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოვლის საჭიროების მქონე მძიმე ავადმყოფებისათვის მოვლის საზღაურის დაფინანსებას ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით. მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფების, რომლებიც გადიან ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის კურსს ან საჭიროებენ სხვადასხვა სახის გამოკვლევებს, რაც არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამიდან, ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ონკოლოგიური ავადმყოფების სოციალური, ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ პირთა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა მხარდაჭერისათვის გატარებულ ღონისძიებათა კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

4.2.5. 80.0 ათასი ლარი – მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060205)

პროგრამა ითვალისწინებს ქ.ზუგდიდიში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული ბავშვების (0-18წლამდე) ხელშეწყობას 200-ლარიანი ფულადი დახმარებით წელიწადში ერთხელ.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მარჩენალ დაკარგული ბავშვების (0-18 წლამდე) მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მარჩენალდაკარგული ბავშვების (0-18 წლამდე) დახმარებების ზრდის მაჩვენებელი

4.2.6. 70.0 ათასი ლარი – ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების

მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 060206)

პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 100 წელს გადაცილებული პირებისთვის წელიწადში ერთხელ ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით და მარტოხელა მოხუცების შინმოვლას, ასევე 200 (ორასი)-ლარიანი ერთჯერადი ფულადი დახმარება სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი უმწეო ბენეფიცირის ოჯახისთვის (სარეიტინგო ქულა

65001-მდე) .

მოსალოდნელი შედეგი:

ხანდაზმულთა მატერიალური მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება და მორალური მხარდაჭერა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ხანდაზმულთა მონაცემთა ბაზის დადგენა და მხარდაჭერა

4.2.7. 75,0 ათასი ლარი – სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა

(პროგრამული კოდი 060207)

სადღესასწაულო დღეებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების (ახალი წელი და აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მე–2 მსოფლიო ომის მონაწილეებს (ადგილობრივი და დევნილი), დედ-მამით ობოლ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მშობლებს, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს (250) და სოციალური საცხოვრისის (15) ბენეფიციარებისთვის, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახების (65 001 -ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით) ფსიქოსოციალური მხარდაჭერა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისა და საზეიმო განწყობის შექმნის გზით. შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა (14 ივნისი, 3 დეკემბერი).

მოსალოდნელი შედეგი:

სადღესასწაულო განწყობის შექმნა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სადღესააწაულო დღეებში ბენეფიციარებისათვის საზეიმო განწყობის შექმნა.

4.2.8 . 130,0 ათასი ლარი – ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 060208)

ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ზუგდიდის ცენტრში ჩართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების მედიკამენტების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში 50–100 (ორმოცდაათი–ასი) ლარის ოდენობით ადმინისტრაციული ერთეულის გათვალისწინებით, მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში 25 (ოცდახუთი) ლარით. აღდგომის დღესასწაულზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა (სასაფლაოებთან მისასვლელად). საზღვრისპირა ადმინისტრაციული ერთეულის – ხურჩის მოსახლეობის ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება. სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65 001-მდე) მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება წელიწადში ერთხელ 100 (ასი) ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

შშმ პირთა გარემოსთან ადაპტირების ხელშეწყობა, ჰემოდიალიზის, პერიტონეალური დიალიზის პროგრამით და მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს მოსარგებლეთა, სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულით 65 001-მდე) სტუდენტებისა და ხურჩის მოსახლების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შეღავათებით მოსარგებლეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

4.2.9. 170,0 ათასი ლარი – სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 060209)

ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის, მეწყერის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ფინანსური და მორალური თანადგომა. უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით უზრუნველყოფა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 300 (სამასი)-დან 1000 (ერთი ათასი) ლარამდე საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის მიხედვით სამაშველო სამსახურიდან წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე. ასევე, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ უმწეო ოჯახებზე (65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით) და დამეწყრილ ოჯახებზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება 300 (სამასი)-დან 1000 (ერთი ათასი) ლარამდე საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის მიხედვით სამაშველო სამსახურიდან წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე. ბინის ქირის 100 (ასი) ლარიანი საზღაური ყოველთვიურად, საკუთარი საცხოვრისის არმქონე ზუგდიდში რეგისტრირებული უმწეო კატეგორიის (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები) ოჯახებისთვისა და ზრუნვის სისტემიდან გასული პირებისთვის. ბენეფიციართა შერჩევა მოხდეს წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის მეშვეობით.

მოსალოდნელი შედეგი:

უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სხვადასხვა გარემოებებით უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მაჩვენებელი.

4.2.10. 45,0 ათასი ლარი – დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 060210)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმწეო დევნილი მოსახლეობის იდენტიფიკაცია, გარდაცვლილი უმწეო (65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულით) დევნილის ოჯახზე ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. ასევე, უკიდურესად ღატაკი და განსაკუთრებული საჭიროების მქონე (მარტოხელა პენსიონერი, შშმ პირი, სოციალურად დაუცველი ოჯახი) დევნილი მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.

მოსალოდნელი შედეგი:

უმწეო დევნილი მოსახლეობის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დევნილი მოსახლეობის ხელშეწყობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

4.2.11. 110,0 ათასი ლარი – სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 060211)

ზამთრის პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად ღატაკი, უმწეო (სარეიტინგო ქულა 30 001-ზე ნაკლები) მოსახლეობის გათბობისათვის შეშის სანაცვლოდ ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადგილობრივი უკიდურესად ღატაკი (40 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე), მრავალშვილიანები, შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები, მარტოხელა დედები, მარტოხელა პენსიონრები და ა. შ.) ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ განსაკუთრებული საჭიროებისას (100-1000 ლარამდე).

მოსალოდნელი შედეგი:

უმწეო ოჯახების ყოფითი მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

უმწეო ოჯახების ყოფითი მდგომარეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

4.2.12. 954,3 ათასი ლარი – სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 060212)

პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა დაფინანსება/თანადაფინანსებას. პროგრამა განხორციელდეს შესაბამისი კომისიის დებულების მიხედვით.

ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება – მაქსიმალური ლიმიტი 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი წელიწადში ერთხელ. მოსარგებლეები:

სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები);

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში – შშმ) პირები;

ონკოლოგიური ავადყოფები;

0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

ქრონიკული დაავადებების მქონე პირები (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, გლაუკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება).

სტაციონარული სამედიცინო მომსახურება, ქირურგიული ოპერაციების დაფინანსება/თანადაფინანსება, წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები:

მოქალაქეები, რომლებსაც ოპერაციის (გარდა ესთეტიკური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის პროგრამებიდან – მაქსიმალური ლიმიტი 1 000.00 (ერთი ათასი) ლარი;

სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონრები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშები – თანადაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვასთან/კერძო სადაზღვევო კომპანიასთან – 300.00 ლარამდე სრულად, 300-დან -1000-მდე 60 %-ით, 1000-დან 2000 ლარამდე 50%-ით, 2000 ლარის ზევით მაქსიმალური ლიმიტი 1000.00 ლარი;

განსაკუთრებული შემთხვევების (ავტოკატასტროფა, საყოფაცხოვრებო ან სამუშაო მძიმე ტრავმა, ქრონიკული დაავადების გართულება და ა.შ) დროს სხვა პროგრამებით გაუთვალისწინებელი გადაუდებელი, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება კომისიის გადაწყვეტილებით. მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი.

C ჰეპატიტის პირველადი დიაგნოსტიკის თანადაფინანსება – მაქსიმალური ლიმიტი 150.00 (ას ორმოცდაათი) ლარი, წელიწადში ერთხელ აუტიზმის აბილიტაციის პროგრამა – პროგრამა 40 ბავშვისთვის ყოველთვიურად 315.00 ლარი, სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის:

დაუნის სინდრომი

ბავშვთა ცერებრული დამბლა (G-80.0-G 80.4, G 80.8- G 80.9)

სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9, G-82.0, G-83.2)

განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0)

სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება – მაქს. ლიმიტი 500.00 (ხუთასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

იშვიათი დაავადებების (ცელიაკია და ფენილკეტონურია) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების თანხით უზრუნველყოფა:

ცელიაკია – ყოველთვიურად 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი

ფენილკეტონურია – ყოველთვიურად 500.00 (ხუთასი) ლარი

ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) დაფინანსება/თანადაფინანსება – მაქს. ლიმიტი 250.00 (ორას ორმოცდაათი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგი: პროსტატის სპეციფიურ აგენტზე გამოკვლევა (40-50 წლამდე და 70 წ ზევით), ძუძუს კიბოს სკრინინგი (35-40 წლამდე 60 წელს ზევით), საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (20-25 წლამდე და 60 წელს ზევით), კოლორექტალური სიმსივნის სკრინინგი (40-50 წლამდე და 70 წელს ზევით). ქვეპროგრამის მოსარგებლეები:

სოცილაურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-მდე)

შშმ პირები;

ძალადობის მსხვერპლი;

მარჩენალდაკარგული ბავშვის მშობელი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება -200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ადგილობრივ და დევნილ მოქალაქეებს შეეძლებათ ისარგებლონ წელიწადში ერთხელ სამედიცინო დახმარების პროგრამის ერთერთი ქვეპროგრამით, გარდა სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირებისა და ონკოლოგიური ავადმყოფებისა, რომლებსაც შეეძლებათ ისარგებლებენ სხვადასხვა სახის მომსახურებით.

მოსალოდნელი შედეგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ძვირადღირებული მკურნალობის ხელმისაწვდომობის მაღალი მაჩვენებელი. მძიმე დაავადებების გამოვლენა ადრეულ სტადიაზე დროული დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის გზით.

4.3. 70,0 ათასი ლარი – სოციალურად დაუცველი ოჯახების საყოფაცხოვრებო პირების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების (სოც. დაუცველი, შშმპ, მრავალშვილიანი, ძალადობის მსხვერპლი, ზრუნვის სისტემიდან გასული, მარჩენალდაკარგული და ა. შ.) მიერ სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის შესწავლას და შემდგომში მათი დასაქმების პერსპექტივას. ზუგდიდის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა მოხდეს მერიაში შექმნილი კომისიისა და დებულების შესაბამისად.

მოსალოდნელი შედეგი:

სოციალური სფეროს სხვადასხვა მიმართულებებით ,ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული პროექტების განხორციელების შედეგად ცალკეული კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე მოსახლეობის ინტერესებისა და სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით შერჩეული და დაფინანსებული პროექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

4.4. 700,0 ათასი ლარი – უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 0604)

ითვალისწინებს უსახლკარო, სოციალურად დაუცველი კატეგორიის მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, ხოლო მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით ერთი თბილი ოთახის მოწყობას (ხუთი ათასი ლარის ფარგლებში). **მოსალოდნელი შუალედური შედეგები**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური და ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მაჩვენებელი.

4.5. 25,0 ათასი ლარი – პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში'' (პროგრამული კოდი 0605)

პროგრამა ითვალისწინებს საცხოვრისის ეზოს კეთილმოწყობას, კომუნალური გადასახადების თანადაფინანსებას (გათბობა).

მოსალოდნელი შედეგი:

სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა ცხოვრების გაუმჯობესებული ხარისხობრივი მაჩვენებელი

მუხლი 10.

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსება განხორციელდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეშვეობით.

2. 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებათა გადანაწილება წლიური ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამის საკითხზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

3. 2018 საფინანსო წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებების მუშაკებზე დანამატები ჯილდო და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში ,,2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად (მე-3 პუნქტი).

4. არასამეწარმეო არაკომერციულმა იურიდიულმა პირებმა არაფინანსური აქტივების ხარჯვაზე თანხების გამოყოფა უზრუნველყონ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების შემდეგ.

5. საჯარო დაწესებულებში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატით გათვალისწინებული თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო შრომის ანაზღაურებას.

7. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი – 350,0 ათასი ლარი მიიმართოს, მათ შორის:

ა) 50,0 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად,

ბ) 284,8 ათასი ლარი – „სამხედრო ვალდებულების და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილების განსახორციელებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

გ) 5,2 ათასი ლარი – „სამშობლოს დაცვისათვის დაღუპულთა, ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

დ) 10,0 ათასი ლარი – „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 11. სარეზერვო ფონდი

2018 წლის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 200,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი ხარჯვა განხორციელდეს ,,საბიუჯეტო კოდექსით“ დადგენილი წესით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 12. ვალდებულებები

განისაზღვროს წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი 1028.5 ათასი ლარით.

თავი III

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 13. განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები 46124.0 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

			2018 წლის გეგმა	
	დასახელება		მათ შორის	
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	46,124.0	9,655.6	36,468.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	351.0	0.0	351.0
	ხარჯები	30,139.8	832.0	29,307.8
	შრომის ანაზღაურება	5,613.6	0.0	5,613.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,336.7	8,823.6	6,513.1
	ვალდებულებების კლება	647.5	0.0	647.5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	8,937.2	0.0	8,937.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	340.0	0.0	340.0
	ხარჯები	8,224.9	0.0	8,224.9

”

	შრომის ანაზღაურება	5,432.0	0.0	5,432.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	110.0	0.0	110.0
	ვალდებულებების კლება	602.3	0.0	602.3
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,320.0	0.0	1,320.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30.0		30.0
	ხარჯები	1,302.5	0.0	1,302.5
	შრომის ანაზღაურება	809.0	0.0	809.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	17.5	0.0	17.5
	ვალდებულებების კლება		0,0	
01 02	მუნიციპალიტეტის მერია და მერიის სამსახურები	6,388.7	0.0	6,388.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	310.0		310.0
	ხარჯები	6,295.9	0.0	6,295.9
	შრომის ანაზღაურება	4,623.0	0.0	4,623.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	92.5	0.0	92.5
	ვალდებულებების კლება	0.3	0.0	0.3
01 03	სარეზერვო ფონდი	200.0	0.0	200.0
	ხარჯები	200.0	0.0	200.0
01 04	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,028.5	0.0	1,028.5
	ხარჯები	426.5	0.0	426.5
	ვალდებულებების კლება	602.0	0.0	602.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	434.8	0.0	434.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	11.0	0.0	11.0
	ხარჯები	280.8	0.0	280.8
	შრომის ანაზღაურება	181.6	0.0	181.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	154.0	0.0	154.0
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	284.8	0.0	284.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	11.0		11.0

	ხარჯები	280.8	0.0	280.8
	შრომის ანაზღაურება	181.6	0.0	181.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.0	0.0	4.0
02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების შესყიდვა	150.0	0.0	150.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	150.0	0.0	150.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	22,632.2	8,414.8	14,217.4
	ხარჯები	9,549.7	832.0	8,717.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13,037.3	7,582.8	5,454.5
	ვალდებულების კლება	45.2	0.0	45.2
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები)	7,379.6	6,379.6	1,000.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,379.6	6,379.6	1,000.0
03 01 01	გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,279.6	6,379.6	900.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,279.6	6,379.6	900.0
03 01 02	ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია	100.0	0.0	100.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100.0	0.0	100.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,815.1	503.5	4,311.6
	ხარჯები	3,810.0	0.0	3,810.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,005.1	503.5	501.6
03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების პროგრამა ა.ა.ი.პ „ ზუგდიდდასუფთავების“ ბაზაზე	4,060.0	0.0	4,060.0
	ხარჯები	3,560.0	0.0	3,560.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	500.0	0.0	500.0
03 02 02	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	200.0	0.0	200.0
	ხარჯები	200.0	0.0	200.0
03 02 03	არასასოფლო მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის ხარჯები	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	20.0	0.0	20.0
03 02				

04	ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	30.0	0.0	30.0
03 02 05	შენობა-ნაგებობებისა და სახურავების რეაბილიტაცია			
	ხარჯები			
03 02 06	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	1.6	0.0	1.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.6	0.0	1.6
03 02 07	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	503.5	503.5	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	503.5	503.5	0.0
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	5,022.0	502.0	4,520.0
	ხარჯები	4,182.0	502.0	3,680.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	840.0	0.0	840.0
03 03 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა ა.ა.ი.პ.,,კეთილმოწყობის ცენტრის" ბაზაზე	3,830.0	0.0	3,830.0
	ხარჯები	3,530.0	0.0	3,530.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	300.0	0.0	300.0
03 03 02	ცენტრალური ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	490.0	0.0	490.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	490.0	0.0	490.0
03 03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	200.0	0.0	200.0
	ხარჯები	150.0	0.0	150.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.0	0.0	50.0
03 03 04	ადმინისტრაციული, საცხოვრებელი სახლების და ეზოების კეთილმოწყობა	502.0	502.0	0.0
	ხარჯები	502.0	502.0	0.0
03 04	სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილ იტაცია და ექსპლუატაცია	833.1	508.1	325.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	833.1	508.1	325.0
03 05	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	100.0	0.0	100.0

03 06	შპს,,ANAKlIA-GANMUXURIS RESORTS”-ის ფინანსური ხელშეწყობა	250.0	0.0	250.0
	ხარჯები	220.0	0.0	220.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	30.0	0.0	30.0
03 07	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	240.0	0.0	240.0
	ხარჯები	240.0	0.0	240.0
03 08	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებანი	47.9	0.0	47.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	47.9	0.0	47.9
03 09	რგფ-იდან და მგფ-იდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	2,420.9	0.0	2,420.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,383.9	0.0	2,383.9
	ვალდებულების კლება	37.0	0.0	37.0
03 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის	484.8	384.8	100.0
	ხარჯები	300.0	250.0	50.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	184.8	134.8	50.0
03 11	სამშენებლო ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები	961.6	124.5	837.1
	ხარჯები	698.9	80.0	618.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	254.5	44.5	210.0
	ვალდებულების კლება	8.2	0.0	8.2
03 12	ნაპირსამაგრი ჯებირებისა და სარწყავი არხებისა მშენებლობა-რეაბილიტაცია	64.9	0.0	64.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	64.9	0.0	64.9
03 13	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	12.3	12.3	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.3	12.3	0.0
04 00	განათლება	6,887.8	765.8	6,122.0
	ხარჯები	5,872.0	0.0	5,872.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,015.8	765.8	250.0
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	4,940.0	0.0	4,940.0

	ხარჯები	4,690.0	0.0	4,690.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	250.0	0.0	250.0
04 02	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	222.0	0.0	222.0
	ხარჯები	222.0	0.0	222.0
04 03	სკოლისგარეშე სწავლებისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	900.0	0.0	900.0
	ხარჯები	900.0	0.0	900.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა			
04 04	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	60.0	0.0	60.0
	ხარჯები	60.0	0.0	60.0
04 05	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	765.8	765.8	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	765.8	765.8	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4,007.7	475.0	3,532.7
	ხარჯები	2,988.1	0.0	2,988.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,019.6	475.0	544.6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1,310.0	0.0	1,310.0
	ხარჯები	1,010.0	0.0	1,010.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	300.0	0.0	300.0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1,230.0	0.0	1,230.0
	ხარჯები	930.0	0.0	930.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	300.0	0.0	300.0
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	20.0	0.0	20.0
05 01 03	ახალგაზრდული და გენდერული პროგრამების დაფინანსება	60.0	0.0	60.0
	ხარჯები	60.0	0.0	60.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2,169.1	0.0	2,169.1
	ხარჯები	1,935.1	0.0	1,935.1

	არაფინანსური აქტივების ზრდა	234.0	0.0	234.0
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	910.0	0.0	910.0
	ხარჯები	810.0	0.0	810.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100.0	0.0	100.0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	494.0	0.0	494.0
	ხარჯები	410.0	0.0	410.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	84.0	0.0	84.0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	500.0	0.0	500.0
	ხარჯები	450.0	0.0	450.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.0	0.0	50.0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	201.1	0.0	201.1
	ხარჯები	201.1	0.0	201.1
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	64.0	0.0	64.0
	ხარჯები	64.0	0.0	64.0
05 03	საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობა	43.0	0.0	43.0
	ხარჯები	43.0	0.0	43.0
05 04	მინი-სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	10.6	0.0	10.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.6	0.0	10.6
05 05	საჭადრაკო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია	475.0	475.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	475.0	475.0	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,224.3	0.0	3,224.3
	ხარჯები	3,224.3	0.0	3,224.3
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	280.0	0.0	280.0
	ხარჯები	280.0	0.0	280.0
06 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,149.3	0.0	2,149.3
	ხარჯები	2,149.3	0.0	2,149.3

06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილოები)	150.0	0.0	150.0
	ხარჯები	150.0	0.0	150.0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	65.0	0.0	65.0
	ხარჯები	65.0	0.0	65.0
06 02 03	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	100.0	0.0	100.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	200.0	0.0	200.0
	ხარჯები	200.0	0.0	200.0
06 02 05	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	80.0	0.0	80.0
	ხარჯები	80.0	0.0	80.0
06 02 06	ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცვლელი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	70.0	0.0	70.0
	ხარჯები	70.0	0.0	70.0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	75.0	0.0	75.0
	ხარჯები	75.0	0.0	75.0
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	130.0	0.0	130.0
	ხარჯები	130.0	0.0	130.0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილტა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	170.0	0.0	170.0
	ხარჯები	170.0	0.0	170.0
06 02 10	დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	45.0	0.0	45.0
	ხარჯები	45.0	0.0	45.0
06 02 11	სოციალურად დაუცვლელი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა	110.0	0.0	110.0
	ხარჯები	110.0	0.0	110.0
06 02 12	სამედიცინო დახმარების პროგრამა.	954.3	0.0	954.3

	ხარჯები	954.3	0.0	954.3
06 03	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	70.0	0.0	70.0
	ხარჯები	70.0	0.0	70.0
06 04	უსახლკაროდ და მძიმე მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართიტ უზრუნველყოფის პროგრამა	700.0	0.0	700.0
	ხარჯები	700.0	0.0	700.0
06 05	პროგრამა,,სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში"	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	25.0	0.0	25.0

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე, აქტის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 30 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა წოწერია